შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

LTD FOOTBALL CLUB MESHAKHTE

კლუბის საშეჯიბრო სახელწოდება ს/კ „მეშახტე“

ს/კ 219630228

ქ.ტყიბული, თაყაიშვილის N3

ტელ: +995 599 24 92 49

შპს საფეხბურთო კლუბი „მეშახტე“

N187 **16.09.2025 წელი**

ფეხბურთი ყველა შესაძლებლობისთვის

ფეხბურთი არის სპორტი, რომელიც ერთიანობას, მეგობრობას და თანასწორობას ეფუძნება.ფეხბურთი ყველას ეკუთვნის-არ არსებობს ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლის ადამიანს ჩვენს გვერდით ყოფნაში.

ჩვენი კლუბი უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებულ ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა:

- დაესწროს მატჩებს;
- მიიღოს მონაწილეობა კლუბის აქტივობებში;
- გაუწიოს გუნდს დახმარება ან ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში;
- იგრძნოს, რომ ის კლუბის ოჯახის ნაწილია.
- შშმ პირების ჩართულობა

კლუბში ფუნქციონირებს შშმ პირებთან მეკავშირე ოფიცერი, რომელიც თავად არის ეტლით მოსარგებლე.ოფისის გარემო სრულად არის ფიზიკურად ადაპტირებული მისი საჭიროებებისთვის.მეკავშირე ოფიცრისთვის კლუბი უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას საშინაო მატჩებზე ქ. ამბროლაურში. გვყავს ერთგული გულშემატკივარი, რომელიც ასევე არის შშმ პირი და ის ყოველთვის ჩვენს გვერდით დგას როგორც გასვლით, ისე საშინაო მატჩებზე. კლუბი უზრუნველყოფს მის ტრანსპორტირებასა და უსაფრთხო პირობებში გადაადგილებას.

ჩვენი პოლიტიკა „ფეხბურთი ყველასთვის“ მოიცავს:

- ბავშვებისა და მოზარდების მხარდაჭერას-ვატარებთ უფასო საფეხბურთო დღეებს ადგილობრივ სკოლებთან ერთად.
- ქალებისა და გოგონების ფეხბურთის ხელშეწყობას-ვახალისებთ გოგონებს ჩაერთონ ვარჯიშებსა და ტურნირებში.

- ბავშვებს-ვთავაზობთ სპეციალურ პროგრამებსა და უფასო მონაწილეობას სხვადასხვა ტურნირებში.
- ხანდაზმულ გულშემატკივრებს-სპეციალური ინიციატივებით ვუზრუნველყოფთ მათ უსაფრთხო დასწრებას თამაშებზე.
- მოხალისეებსა და საზოგადოების აქტიურ წევრებს-ვაძლევთ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ კლუბის ყოველდღიურ საქმიანობაში.

მატჩებზე გვაქვს სპეციალური ზონა, სადაც ოჯახები ბავშვებთან ერთად კომფორტულად ესწრებიან თამაშს. კლუბი გეგმავს „ღია კარის დღეებს“, სადაც ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია დაესწროს ვარჯიშს და უშუალოდ შეხვდეს ფეხბურთელებს. ვატარებთ საინფორმაციო კამპანიას „არა ბარიერებს ფეხბურთში“, რომლითაც ვამბობთ: ნებისმიერი ადამიანი არის კლუბის ოჯახის ნაწილი.

შპს საფეხბურთო კლუბი

„მეშახტე“-ს დირექტორი: **/ლევან ჯაფარიძე/**

შპს საფეხბურთო კლუბი„მეშახტე“-ს

სოციალური პასუხისმგებლობის ოფიცერი: **/ქეთევან ყვავაძე/**

E-mail – klubimeshakhte@gmail.com ; ID:219630228

Address – Tkibuli, Georgia, Takaishvili str. N3
Phone Number- +995 599 24 92 49